აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №5

28/11/2022 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია, **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს, თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი